

long lesson notes

✓ 355
—
2 — 21

ଓଡ଼ିଆ କବିତା ଓ ପ୍ରଚ୍ଛଦ
ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିବହନ

ପ୍ରମୁଖ ଲେଖକଙ୍କାରୀ, ଶ୍ରୀରାମକୃତା!

୨୫/୧୬୨୫

ମତ
ପରିବହନ

୨୫/୬୩

୨୩/୨



ବିଜ୍ଞାନ ପତ୍ରକ



୨୯୬୭୮୬

ସମ୍ପର୍କ ପରିବହନ

୧୯୦୩ ଫ.

ମୁଦ୍ରଣ

ପରିବହନ

ମୁଦ୍ରଣ

სალდათობა.

შევლა ჩვენგანმა იცის, რომ ჯარი აუცილებელი საჭიროებაა თანამედროვე სახელმწიფოსთვის, მარა იშვიათია რომ ვინმემ იცოდეს, რა მიზანს ემსახურება ის, რაა ჯარის დანიშნულება.

როცა შეგვისრულდება ოცდაერთი წელი, ჩვენ მთავრობის მოთხოვნის თანახმა მივეშურებით დანიშნულ ადგილს, საცა უნდა გაგვაწესრიგონ, გაგვაგზავნონ შორეულ ადგილებში, სხვა და სხვა პოლქში, სხვა და სხვა ყაზარმებში. ეს ჩვენი „ვალდებულებაა“, ჩვენგან მოითხოვენ მხოლოთ და მხოლოთ მორჩილების და ჩვენც ყოველ წუთში მზათ ვართ ეს შევისრულოთ, მზათ ვართ ყოველნაირ „ბრძანებას“ დავემორჩილოთ; რასოდეს არ დავთიქრებულვართ რამდენათ კანონიერია, რამდენათ სასარგებლოა ეს ჩვენთვის. ჩვენ გვაშორებენ იმ ადგილს, სადაც ოცდაერთი წელიწადი გაგვიტარებია, სადაც აღვწრდილვართ, დავვაუკაცებულვართ, სადაც რჩება ჩვენი აღმზრდელი დედა და გვაგზავნიან კიევის, ვარშავის, ხარკოვის და სხვა შორიეულ ადგილების ყაზარმებში. ჩვენ ბედს ვემორჩილებით და თავს ვინუგეშებთ იმით, რომ ამისთანა ვალდებულება მარტო ჩვენ კი არა, ყველას აწევს კისერზე, სალდათობის ატანა თუმცა გასაჭირი კია, მარა ამით ჩვენ სამშობლოს და ხელმწიფებს ვემსახურებით და სხვა და სხვა. ჩვენ გვყავს ხშირათ ნაცნობი სალდათი, რომელიც ერთი, ორი ან სამი წელიწადია, რაც ჯარში წაუყვანიათ; მას ვამოუცდია ფელდფებელის მუშტები, მან კარგათ იცის ყაზარმა, ის ცრემლით სავსე სატუსალო, საცა არა ერთხელ ამოუკვნესია, საცა შეიძლება პირველით იგრძნოთ პიროვნების და-

მცირება, უფროსების უშვერი სიტყვებით ლანძღვა-
გინება, როზგი და სხვა. მან ყველა ეს კარგათ
იცის, იცის თუ რა აუტანელია ყველა ეს, მარა ის
თვის მაინც ვალდებულათ თვლის ანუგეშოს თავისი
მომავალი ამხანაგი, არათ მიუჩნიოს მომავა-
ლი ტანჯვა-წვალება. ასე იქცევა ყველა დანარ-
ჩენი, ვისიც გამოუცდია და არ გამოუცდია ეს შძი-
მე უღელი. მარტო ოჯახი დასტირის შვილს შხო-
ლოთ იმიტომ, რომ დაპყარგა მუშა ხელი, და საბ-
რალო დელის კვნესა იკლებს მიდაშოს, მას თვალ-
წინ უდგია, თუ რა მოელის ვაივაგლახით აღზრდილ
შვილს, ის კარგათ გრძნობს, რომ შეიძლება უკა-
ნასკნელათ ხედავდეს თავის „ძვირფას მარგალიტს“.

შველამ იცის, რომ აქ რაღაცა არა ჩვეულებრივი
ხდება; გრძნობს ამას თვით მომავალი მონა აფიცერ-
ფელდფებელთა, ხედავს ამას მზობელი, ესმის ეს
მთელ საზოგადოებას, ყველამ იცის ეს, მარა თით-
ქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ეს ასეც უნდა
იყოს, ყველამ უნდა დაიცვას „სამშობლო“, ემსა-
ხუროს ხელმწიფეს, რომ ამნაირია „ლვის და მო-
წყალე ხელმწიფის კანონი“...

ამნაირია თანამედროვე საზოგადოების შეხედუ-
ლება ჯარის შესახებ და ჩვენ ვეცდებით გაშოგარ-
კვით, რამდენათ მართალია ეს, აეხსნათ თუ რას
ემსახურება ჯარი, რა არის სალდათის დანიშნულება.
ამისთვის კი აუცილებლათ საჭიროა გავარჩიოთ მო-
კლეთთანამედროვე საზოგადოება, თანამედროვე სა-
ზოგადოების სხვა და სხვა ნაწილთა დამოკიდებულება.

I

საკმაოა ოდნავ დავაკვირდეთ თანამედროვე ცხო-
ვრებას, რომ მაშინვე შევნიშნოთ ერთი მოვლენა:
ხსლების უმცირესი ნაწილი არაფერს აკეთებს და ქო-

ნების და სიმღიდრის პატრონი კია; ის მუდამ მო-
 სვენებულია და მიუხედავათ ამისა მას ყველაფერი
 აქვს, აქვს ფული, რაც შეიძლება ბლომათ და ამი-
 ტომ ის კმაყოფილია, შეუძლია ისარგებლოს ყველა
 მით, რაც კმაყოფილებას შეადგენს: — კარგი საჭმე-
 ლით, კარგი ტანსაციელით, თეატრებით, ბალებით
 და სხვა. მეორე ნაწილი საზოგადოებისა, უმრავ-
 ლესობა, ლარიბი, საკუთრებას მოკლებული დღე და
 შუამე ოფიციალური დღეს დღეს დღეს, მუდამ შრომობს, მარა მაინც
 არა გამოიდის რა, ის მაინც ბედერულია, მისი მდგო-
 მარეობა მაინც აუტანელია, მას არ აქვს არც რი-
 გიანი საჭმელი, არც თფილი ტანსამოსი, მან არ
 იცის რა არის გართობა, წარმოდგენა, მუსიკა, სე-
 ირნობა და სხვა. მუდმივი ტანჯენა და არასო-
 დეს კმაყოფილება — ის მისი ხეველრი, ის მისი
 მდგომარეობა!

პირველი ნაწილი, უმცირესობა — ეს ეგრეთ წო-
 დებული შეძლებული ნაწილია საზოგადოებისა ან
 სხვანაირათ ბურჯუაზია — მრეწველები, მემამულეები,
 ვაჭრები; მეორე, უმრავლესობა — ეს მშრომელი
 ხალხია.

შეძლებული ნაწილი საზოგადოებისა — ბურჯუაზია
 არაფერს აკეთებს და მუდამ კმაყოფილია იმიტომ,
 რომ შუდამ ძარცვავს, მუდამ ატყავებს მშრომელი
 ხალხს. მართლაც ვაჭარი და მრეწველი თვითონ
 ხომ არაფერს აკეთებს, მას მაღაზიები, ქარხნები და
 ფაბრიკები, გაუხსნია, დაუქირავებია მუშები და წლის
 პოლოს მილიონობით ილებს მოგებას. საიდან ჩნდე-
 ბა ეს მოგება? ამბობენ ვაჭრობიდანო. ვაჭარი ია-
 ცათ ყიდულობს, ძვირათ ყიდის და მოგება იქიდან
 წარმოდგებაო. ვთქვათ, ეს მართალია. ვთქვათ, გა-
 მყიდველს უფლება ეძლევა საქონელი გაყიდოს ექვს
 აბაზათ, როდესაც მონაცემები მართვის მინისტრის, ის

საქართველოს

პარლამენტის

ეროვნული

კონსოლიდაციის

მანეთზე აბაზს იგებს. მაგრამ გაყიდვის შემდეგ მანც ხომ უნდა იყიდოს ახალი საქონელი—და ახლა იმას, ვინც მას საქონელს მიყიდის, მიეცემა უფლება მანეთად სალირალი უქვს აბაზათ მიყიდოს მას და გამოაცალოს შინი მოგება. ამნაირათ ყოველი საქონლის ფასი აიწევს ერთ და იმავე ზომაზე და ყიდვა გაყიდვაში ვერავინ ვერაფერს მოიგებს. ისეთი კლასი კი, რომელიც მარტო ყიდის და თვითონ არ ჰიდულობს—წარსულდგნელია. მარა კიდევაც რომ იყოს ამნაირი კლასი, ის ბოლოს და ბოლოს ხელში ჩაიგდებდა მიელ ფულ!, რაც საზოგადოებაში არსებობს და ვაჭრობის გასაგრძელებლათ მას დაკირდებოდა ფულის უსარგებლოთ დაბრუნება მყიდველებისათვის, რომ ამ ფულით მყიდველებმა მისვან საქონელი იყიდონ. ასე რომ ვერც ამ შემთხვევაში გაჩნდებოდა მოგება,—თავისივე ფულის უკან აღება მოგება კი არა, თამაშობაა.

შესაძლებელია, რასაკეირველია, რომ ერთმა საქონლის პატრონმა მეორე მოატყუოს, ძვირათ მიუყიდოს იაფი საქონელი, გაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ერთის მოგება მეორის იძდენსავე წაგებას მოაწავებს, და მთელ კაპიტალისტთა გროვას, კლასს, არც მოაკლდება რამე და არც მოემატება. ნამდვილათ კი, ყველამ იცის, რომ მთელი კაპიტალისტთა კლასი შოგებით საზრდოობს და მდიდრდება.

ამნაირათ, მოგება ვაჭრობიდან არ მომდინარეობს. თუ ეს ასეა, მხოლოთ ერთი გზა დაგვრჩია მის ასახსნელაი, —იგი უნდა იბადებოდეს წარმოებაში.

საწარმოოთ კაპიტალისტი ორნაირ საქონელს ყიდულობს: 1) საწარმოო მასალას, ესე იგი ისეთ საქონელს, რომელიც თავის თავათ მეტ ფასს ვერ დაბადებს და იმ ფასშივე უნდა გასაღდეს, რა ფასათაც შეძენილია; 2) აღამიანის სამუშავო ძალას.

ეს უკანასკნელი საქონელი ერთი რამდენ განცრჩევა
სხვა საქონელთაგან. მართალია, მისი ფასი შის ღი-
რებულებაზეა დაძოვიდებული, ესეიგი ერთი დღის
ვალით ამ ძალით სარგებლობა ღირს სწორებ იმდე-
ნათ, რამდენათაც ამ ძალის ერთი დღით შექმნავა,
მისი აღდგენა შეიძლება; მაგრამ აღამიანის საშრომ
ძალის ის თვისებაც აქვს, რომ მას ახალი ღირებუ-
ლების შექმნა შეუძლია, და ეს ახალი ღირებულება
შეიძლება ბევრათ იღემატოს იმ ღირებულებას, რო-
მელიც მის ყიდვაში იხარჯება. მაგალითათ, ყოვე-
ლი საქონლის ღირებულება აიწონება მის შესაქმნე-
ლათ საჭირო შრომის რაოდენობით. ვთქვათ, ადა-
მიანის ერთი დღის სამუშაო ძალის საყიდლათ, ესე
რგი, მუშის დღიურ ქიჩათ საჭიროა ხუთი საათის
შრომით შექმნილი ღირებულება, ესე იგი მანეთი.
მუშამ რომ დღეში ხუთი საათი იმუშაოს, ის ახალ
ღირებულებას შექმნის სწორებ იმდენს, რამდენიც
მაზე დაიხარჯა და ჩაპარებს კაპიტალისტს. მაგრამ
კაპიტალისტი ამით არ კმიყოფილდება. მან ჩთელი
დღის ვადით იყრდა სამუშაო ძალა და ნება ეძლევა
ამუშაოს იგი ზედმეტი ხანი, ვთქვათ კიდევ ხუთი
საათი. აი, ამ ზედ-მეტი ხანით შექმნილი ახალი
ღირებულება, რომლისთვისაც კაპიტალისტს არაფე-
რი დაუხარჯავს, სწორებ ეს ზედ-მეტი ღირებუ-
ლება არის მოგების ერთათ ერთი წყარო. რაც
მეტია ზედ-მეტი დრო, მით მეტი ზედ-მეტი ღირე-
ბულება იშვება მუშის ხელით, მით მეტი მოგება
რჩება კაპიტალისტს. აი რათ უყვართ ასე საოცრათ
კაპიტალისტებს გრძელი სამუშაო დღე. და არ ეს
მუშის ძარღვებიდან ამოწოვილი მოგება ნაწილდება
შემდეგ ყოველგვარ ვაჭარ და მრეწველ კაპიტა-
ლისტთა შორის სარგებლის და პროცენტის საჭირო,
მიხედვით იმისა, ვის რამოდენი კაპიტალი აქვს. მა-

თი ქონება — საკუთრება ნებას აძლევს მათ ტყავი
გააძრონ შეუძლო, უსაკუთრო ხალხს და მათი შრო-
მით, მათი ოფლით შექმნლი აუარებელი სიმდიდრე
მიისაკუთრონ. საწარმოო იარაღი, ურომლისოთაც
დღეს შრომა შეუძლებელია, მისაკუთრებული აქვს
ერთ მცირე ჯგუფს, — კაპიტალისტებს. დანარჩენი
ხალხი, რომლის ერთად ერთ სიმდიდრეს მისი ხე-
ლები და სამუშაო ძალა შეადგენს, იმულებულია
ან შიმშილით მოკვდეს და ან ეს თავის სამუშაო ძა-
ლა მიყიდოს კაპიტალისტს იმ პირობით, რომ მთე-
ლი მისაგან შექმნილი ზედ-მეტი ლირებულება კა-
პიტალისტს დარჩეს. შრომის და კაპიტალის ინტე-
რესები ერთმანეთს ერთიანათ ეწინააღმდეგებია. აი
ძირითადი წინააღმდეგობა თანამედროვე სახია-
გადოებაში, აი წყარო მასში ატეხილ სოციალური
წინააღმდეგობისა.

სმნაირათ თანამედროვე საზოგადოება ორ ნაწილით განიყოფება: ერთი მხრით დგას მყვლეფელი ბურჟუაზია, მეორე მხრით გაყვლეფილი მუშაობა კლასი და ამ ორ ნაწილს, ორ კლასს შორის ბრძოლა აუცილებელია. მუშაობა კლასს სურს, და სრულიად სამართლიანათ, თავი დააღწიოს ბურჟუაზიას კლან ჭებს: ის ებრძევის მრეწველებს, მემამულეებს, ვაჭრებს, ის მოწადინებულია შეამციროს ბურჟუაზიის ყვლეფა და ბოლოს სრულიად მოსპოს მისი არსებობა. ამისათვის მას სურს ჩამოართვას ბურჟუაზიას საწარმოო იარაღი და საზოგადო კუთვნილებათ გადააქციოს, რომ იმნაირათ შრომის ნაყოფი მშრომელს რჩებოდეს სრულიათ და არა მწარმოებელს. სამაგიეროთ ბურჟუაზია ცდილობს შეირჩინოს სამუდამოთ საკუთრება და ბატონობა. ამისთვის ყოველ ღონეს ხმარობს, ითას ნაირ ხერხს იგონებს ის.

II

ამნაირი დანაწილება საზოგადოებისა მარტო ჩვენში როდია, ამხაირად ვე დანაწილებულია საზოგადოება თითქმის მთელ დედა მიწის ზურგზედაც, მათ შორის ევროპის განაცლებულ სახელმწიფოებულიაც. მარა ჩვენშია ერთი ძალა, რომელსაც ხალხის ბედ-იღიალზე ძლიერ დიდი გავლენა აქვს. ეს არის რუსეთის თვითმპურობელი მთავრობა, რუსეთის თვითმპურობელი ხელმწიფე. ვინ არის ის? რას წარმოადგენს რუსეთის მთავრობა?

რუსეთს მართავს ხელმწიფე, რომელსაც თვითმპურობელს უწოდებენ, რაღაცაც ის მარტოთ-მარტო განაგებს ქვეყანას, მარტო მას უპყრია ხელში მართვა გამგეობის საქმე. მას შეუძლია მართოს ისე, როგორც მას სურს, ის პასუხს არავის აძლევს თავის მოქმედებაში. მას შეუძლია ვინც უნდა გაროზოს, ჩამოახრჩოს, სატუსალოში დაალპოს, კიმბირში გადასახლოს. მას უფლება აქვს მთელი ჩვენი ქონება გადასახადის სახელით წაგვართვას, სრულიათ მიისაკუთროს. იმნაირია შისი უფლება! მას ყველაფრის უფლება აქვს და ის მართლაც ძლიერ სარგებლობს თავის მდგომარეობით. ყველას სურს მოსვენებულათ, კმაყოფილათ იცხოვროს. სურს ეს რასაკვირველია რუსეთის ხელმწიფესაც! რომ კმაყოფილიათ იცხოვრო ამისათვის თანამედროვე პირობებში საჭიროა ფული, რაც შეიძლება ბლომათ და რუსეთის თვითმპურიაბელი მეფეც იღებს და იღებს: მან დაადვინება სხვა და სხვა გადასახადი მშრომელ ხალხს: ჯერ პირდაპირი სახელმწიფო გადასახადის სახელით, უფრო კი პირ პირდაპირი გაშებისა, აკუციზისა, ღერბისა და სხვა სახელით. ამისთვის რუსეთში ყოველი საქონელი დაბაჟულია, ყოველივე საქონელს „აკციზი“ აკვრია, ყოველ ფეხის გადად-

გმაზე გადასახადს გახდევინებენ. თქვენ გსურთ ნავთი იყიდოთ, გადასახადს იხდით, თუმცა ისე, რომ თქვენ ვერც კი ატყობთ, რადგანაც თქვენ გვონიათ ვაჭარი მახდევინებსო. მარა საკმაოა ოდნავ ჩაუფაქრდეთ, და დაინახავთ, რომ ეს ასე როდია. ფუთი ნავთი ქ. ბათუმში, სადაც სააქციზო გადასახადი არ არსებობს, ექვს-ათ შაურათ იყიდება, სხვაგან კი 1 მ. 20 კ. 1 მ. 50 კ. იყიდება ეს „აქციზის“ გამო, რომელიც სრულიად რუსეთის მეფეს შიაქვს. თქვენ გსურთ მარილი იყიდოთ — გადასახადი უბოძეთ რუსეთის თვითმპურობელ ხელმწიფეს. თქვენ გაიძულებენ სასამართლოს თხოვნით მიშართოთ რომელიმე ჩინოვნიკის ბოროტ მოქმედების წინააღმდეგ, გადასახადი მიართვით ნიკოლოზ მეორეს სხვა და სხვა შარების საშვალებით... და ისე ყოველი ფეხის ნაბიჯზე, რამდენ ფეხს გადადგამთ, სულ ახალი და ახალი გადასახადი. რუსეთის თვითმპურობელმა მეფემ ისე შოაწყო საქმე, რომ ჩვენ მუდამ ვიხდით და ვერაოდეს ვერ ვატყობთ. ამ ნაირად რუსეთის ხაზინაში შედის თითქმის ორი ათასი მილიონი მანეთი. ხელმწიფემ საშვალება იშოვნა კმაყოფილ და მოსვენებით იცხოვეროს. და მართლაც ის მუდამ განცხრომაში ატარებს დროებას!.. ის კი, თუ რა ხდება დაბლა, რომ შიმშილით იხოცება მილიონი გლეხი, მილიონი მუშა, რომ გადასახადი წელში გვწყვეტს, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე ბოროტ-მოქმედებას ვიტანთ, ყოველივე ეს მას ფეხებზე კიდია, ეს სრულიადაც არ აწუხებს, ჩვენზე ის არასოდეს არ ზრუნავს.

Առ ՑՌՄՆԱց օմուլութ, հռա յև ՏՐՄՈՎԱԾԱԿ առ
ՍՎՈՐՈՎ մաս լա աՅՈՒԹԵՎՈՎ ՑԱՍՄԵՍԱԿ ՀԵՐԱՑՈՒ
ԽԵՎՈՎ. ՕՄՈՒԼՈՎԱԿ ա՛ՌՈՎ, հռա տուբիմով ԹԵՎԼ ՀԱԾԱ-
ՍԱԽԱԾՍ ԹԱՎՈՒԾՈՎ ՏԱՏԱՐՀ ԵՑԼՈՎ ԵՎ ԽԵՐՋԱՎ: ԻՎԵԲՈ ՀԱԾԱ-

სახადით ქეიფში, ლხინში და გარყვნილებაში ატა-
 რებს მთელ სიცოცხლეს და რომ ხალხმა არ შეი-
 ტყოს ეს, ან თუ შეიტყო, ვერ შესძლოს მოსპოს
 მისი ბატონობა, გაანადგუროს მისი არსებობა, ის,
 რუსეთის თვითმპყრობელი ხელმწიფე სხვა და სხვა
 საშვალებას ხმარობს: ის უკრძალავს უურნალ გაზე-
 თობას თავისუფლათ ლაპარაკს, ამისთვის მას ყო-
 ველგან თავის ჩინოვნიკები ყავს დაყენებული, რომ-
 ლებიც თვალს ადევნებენ ყველაფერს, რაც კი და-
 საბეჭდათ მზადდება და უკრძალავენ ხალხის კეთი-
 ლის მსურველთ კრინტის დაძვრას, უსამართლობის,
 კარცვა-გლეჯის მხილებას. ხალხის ფულებით სხვა
 და სხვა მოხელეებს ქირაობს: ჩვენი სისხლით და
 ოფლით ნაშოვნი ფულით მას მიღიონი ჯაშუშები
 ყავს დაქირავებული ჩვენსავე სადევნელათ, ბნელსა
 და ნოტიო ციხეებს აშენებს ჩვენდა დასამწყვდევათ
 და სხვა. და ყველა ეს იმიტომ, რომ შეიტყოს ვინ
 იბრძვის მის წინააღმდეგ, ვის სურს მოსპოს მისი ბა-
 ტონობა და ხალხს ბედნიერება არგუნოს... და რო-
 ცა შეიტყობს, ცრვსა და ნოტიო ციხეებში დაალ-
 პობს მათ, შორეულ ციმბირში გადაასახლებს, კა-
 ტორლაში გაგზავნის, ჩამოახრჩობს კიდევაც. იმ რას
 წარმოადგენს რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა!
 მისი მიზანია ხალხი ცატყაოს და რომ ეს არ
 შეიტყოს ხალხმა, ის ცდილობს ხალხის დამონების
 მღვდლების ქადაგებით, ყველა პატიოსანი კაცის და-
 ტყვევებით, პოლიციელების მუშტებით, ყოველნაი-
 რი თავისუფალი მოქმედების — წერის, ლაპარაკის,
 აზროვნების, სინიდისის — აკრძალვით.

ამნაირათ ჩვენ, მშრომელ ხალხს, ორი მტერი
 გვყავს: ერთია ბურჟუაზია — მრეწველები, მემამულე-
 ები, ვაჭრები, რომელნიც ისაკუთრებენ ჩვენ შრო-
 მეს, რომელნც ჩვენი შრომით მდიდრდებიან და

მეორე — რუსეთის თვითმშეყრობელი მთავრობა, სრულიათ რუსეთის ჯალათი — თვითმშეყრობელი ხელმწიფე, რომელიც სულს გვხდის გადასახადით და თვითონ განცხომაში ატარებს ცხოვრებას. და რომ შეირჩინონ ამნაირი მდგომარეობა, რომ შეირჩინონ თავიანთი ბატონობა, ამისათვის საჭირო იყო და არის სხვა და სხვა საშვალება და ამ საშვალებათა შორის ჯარს უპირველესი ადგილი უჭირია.

III

ჩვენ მუდამ გვეუბნებიან ჯარი, სალდათი საჭიროა „სამშობლოს“ დასაცველათ სხვა და სხვა გარეშე და შინაურ მტერთაგანო. ვინ არის ეს „გარეშე“ მტერი? ჩვენ გვეუბნებიან, ეს გარეშე მტერია სხვა და სხვა სახელმწიფოუნებიო, — ინგლისი, გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, ჩინეთი და სხვა. მართალია მერე ეს? ამას ჩვენ ახლავე გამოვარკვევთ

შველა ეს სახელმწიფოები, რომელიც ჩვენ ჩა-
მოვთვალეთ, შედგება ორი მთავარ ნაწილისაგან:
უალ მხრით მშრომელი ხალხი ლგას, მეორე მხრით
ბურუჟაზია, რომელსაც მარტო სიმღიდოე კი არა,
ქვეყნის მართვა გამგეობაც ხელში აქვს ჩაგარდნი-
ლი. ყოველგან ხალხსა და ბურუჟაზიას შორის ბრ-
ძოლაა ატეხილი, ყოველგან ბურუჟაზია სარგებ-
ლობს მთავრობის ძალით, რომ ჩააქროს მუშათა
მოძრაობა, გაიადვილოს მშრომელი ხალხის სის-
ხლის წოვა. ჩვენ რომ ამ მხრით შევხედოთ საქმეს,
რასაკვირველია, მაშინ ამ სახელმწიფოების მთავრო-
ბებთან გრძოლა სასურველი და სამართლიანი იქნე.
ბოდა; ეს გრძოლია მთელი ქვეყნის პროლეტარიატს
— მშრომელ ხალხს დიდ სამსახურს გაუწევდა კაპი-
ტალისტთა მონობისაგან თავის დასახსნელათ. მაშინ
ჯარი მართლა ხალხის მტრების წინააღმდეგობას

შეისრულებდა. მაგრამ რუსეთის მთავრობა, საქმეს სულ სხვანაირათ უყურებს. იმ სახელმწიფოებს შიგნით ატეხილ ბრძოლის დროს ჩვენი მთავრობა თავის დღეში ჩაგრულთ არ მიშველებია, ერთი ომი არ აუტეხია მათ დასაცავათ. პირ იქით, ის მუდამ მხარს უჭერს მჩაგვრელთ და ამაგრებს ევროპაში რეაქციის — აფერხებს ხალხის წინსვლას.

მაშ რათ გვითითებს რუსეთის მთავრობა ევროპის მთავრობებზე, როგორც „გარეშე მტრებზე“, რათ სჭირდება შათი საწინააღმდევო ჯარი? ამის მიზეზი სულ სხვა რამეგა.

შოველ სახელმწიფოში ბურუუაზია ცდილობს თავის საქონელს რაც შეიძლება დიდი გასავალი, ბაზარი უშოვოს. ის არ კმაყოფილდება მხოლოთ იმ გასავალით, რომელიც ზის სახელმწიფოს შიგნით იშოვება, შინაგანი ბაზრით. მას სურს სხვა სახელმწიფოებშიაც იშოვოს შესავალი, რომ იქაც თავის საქონელი გაასაღოს და მოგება აიღოს, მას სურს გარეთა ბაზარიც იშოვოს. ვისაც მეტი ჯარი, მეტი ძალა აქვს ის უფრო ადვილათ იშოვის სხვა ქვეყნებში ვაჭრობის უფლებას. ჯარის საშვალებით მას შეუძლია რომელიმე სახელმწიფოს მის საზღვრებში თავის საქონელი შეაშვებინოს; შეუძლია სხვა სახელმწიფოს ბურუუაზიას, თავის მეტოქეს, იქ ვაჭრობაზე ხელი ააღებინოს. აი სწორეთ ამ მიზნისთვის, რუსეთის ბურუუაზიის ინტერესების დასაცველათ, მისთვის ბაზრის საშოვნელათ დანიშნულია რუსეთის ჯარი.

რუსეთის თვითმშეცვრობელი მთავრობა, რომელიც სხვა სახელმწიფოს მთავრობას ძმურათ მხარს უჭერს, როდესაც ესენი ხერეტენ და ულეტენ მუშა ხალხს, მჩაგვრელთ წინააღმდევო ამდგარს, — რუსეთის თვითმშეცვრობელი მთავრობა, ამავე მთავრობებს მეტოქო-

ბას უწევს და ომს უცხადებს, როდესაც საჭმე ბურჟუაზიისათვის ბაზრის მოპოვებაზე მივა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ის სხვა სახელმწიფოების მთავრობებს „გარეშე მტერს“ უძახის და გაჰყავს მათ წინააღმდეგ თავისი ჯარი. სწორეთ ამ მიზნით,— რომ ვაკარ-მრეწველ-მემამულებთა უშოთოს რაც შეიძლება მეტი და კარგი ბაზარი, — ებრძვის რუსეთი სხვა და სხვა სახელმწიფოებს, როგორც, მაგალითათ, 1899-1900 წელს ებრძოდა ჩინეთს; და იმისთვის, რომ „მოწყალე“ ხელმწიფებ დაიცვას ჩვენი მტერი ბურჟუაზია, ჩვენ იძულებული ვართ სული დავლიოთ შორეულ ჩინეთში, ოთხი წელი ყაზარ-მებში გავატაროთ, მოვითმინოთ აფიცერთა და ფელდფებელთაგან ცხვირ-პირში ცემა ტყეპა და ლანძღვა-გინება.

მს რომ ასე არ იყოს, ჯარის დანიშნულება რომ ბურჟუაზიისათვის ბაზრის შოვნა არ იყოს, — განა სამშობლოს დასაცველათ საჭიროა ხუთი მილიონი ჯარი, როგორც ეს რუსეთის ხელმწიფეს ყავს? უთუოდ ბევრს გაუგონია, ან კიდევაც ახსოვს, რომ უკანასკნელ ომობის დროს თათრებთან, ჩვენში იყო ეგრეთ წოდებული „მილიცია“ ესე იგი დროებითი ჯარი, რომელიც შედგებოდა ხალგაზდებისაგან, რომელთაც არავითარი გაწრთვნა, არავითარი მომზადება არ ქონებიათ: მათ არ დაუყვით ყაზარმებში ოთხი და ხუთი წელიწადი, არ მოხვედრიათ ფელდფებელთა მუშტები, მათ არ გაუგონიათ აფიცერთა-გან უშეერი სიტყვებით ლანძღვა-გინება და მიუხედავათ ამისა მილიცია საუკეთესო ნაწილი იყო რუსეთის ჯარის და, თუ არ მილიცია უთუოდ ბათუმი, ციხისძირი და სხვა ადგილები ეხლაც ოსმალების ხელში იქნებოდა. სჩანს სამშობლოს დაცვა შესაძლებელი ყოფილა ისედაც, რომ კაცმა ოთხი და

ხუთი წელიწადი ყაზარმებში არ გაატაროს; შესაძლებელი ყოფილი ისეც, რომ ფელდფებელთა მუშტებმა ყბები არ დაუმტვრიოს სალდათებს, და შეიძლება არა თუ ნაკლებ — უკეთესადაც. რომ ეს ასეთი, კარიგათ იცის რუსეთის მთავრობამაც და თუ სხვას გვეუბნება, — მხოლოთ თვალის ასახვევათ, ჩვენდა მოსატყუებლათ გვეუბნება. ჯარის დანიშნულება, როგორც ვთქვით ბურზუაზის ინტერესების დაცვა, მათთვის ბაზრის ჟოვნა. ეს ერთი მხრით. მაგრამ ამავე გარემოებას მეორე, კიდევ უფრო მთავარი მიზეზიც იქვს. აუარება ჯარი, ისეთი სალდათებისაგან შემდგარი, რომლებიც რამდენიმე წლის ვადით ხალხს დაშორებული ცრიან და სამხედრო დისციპლინით მაშინათ არიან ქცეულნი — ამნაირი ჯარი რუსეთის თვითმპურობელ მთავრობას და ბურზუაზის სჭირდებათ უმთავრესა კი „შინაურ მტრებისაგან“ თავის დასაცემლათ.

ვინ არის ეს „შინაური მტრი“, როგორც ხშირად ამბობს თვით მაავრობა? ეს ის ხალხია, რომელსაც უკანასკნელ სისხლის წვეთს სწოვს ბურზუაზია და რუსეთის მთავრობა, ხალხის ის ნაწილია, რომელის ჯიბილგან ამოდის მთელი სახელმწიფო ხაზინა, რომელიც იხდის ყოველი ფეხის გადაღვმაზე და მაინც ვერ ძღვებს გაუმაძღარ თვითმპურობელ მთავრობას, ხალხის ის ნაწილია, რომელიც მუდამ შრომობს, რომ მით გაამდიდროს ბურზუაზია, რომელიც ქმნის როტშილდებს, ადელხანოვებს, მანთაშოვებს და მათგვარების სიმდიდრეს და თვითონ შივშილის მსხვერპლი ხდება, უკიდურეს სიღარიბეში ლევს ბედკრულ სულს. ეს კი ჩვენ ვართ, ჩვენ, დღიური მუშები და გლეხები, ჩვენ მშრომელი ხალხი, მუშათა კლასი. აი სწორედ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ სჭირია რუსეთის თვითმპურობელ მიავ-

რობას ჯარი, სჭირია იმისთვის, რომ ჩვენ ჯარს საშვალებით თავზარი დაგვცეს, სიცოცხლეს გამოგვასალმოს, როცა ჩვენ წინააღმდეგობას უცხადებთ მთავრობას და ბურუუაზიას, როცა ჩვენ ვებრძებთ რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას და სისხლის მწოველ მუქთაჲორა ბურუუაზიას.

მს რომ ასეა, უთუოთ დაგვეთანხმება ყველა, ვინც ოღნავ დაკვირვებია ჩვენ ცხოვრებას. უთუოთ ყველა ამხანაგს გაუგონია, ან თვითონ უნახავს; თუ რა წოხდა 1902 წელს ქ. ბათუმში. მუშებმა გაფიცვა მოახდინეს და ეს საქმარისი იყო, რომ მთავრობას „ბუნტი“ გამოეცხადებია და მუშების წინააღმდეგ ჯარი გამოეყვანა; და როცა ჩვენი ამხანაგები ყაზარშებს მიადგენ, საცა ისხდნენ სრულიათ უკანონოთ დატუსალებული ამხანაგები და თხოულობდნენ მათ განთავისუფლებას, უბრძანეს ჯარს და სალდათების ტყვიაში იქვე გამოასალმა სიცოცხლეს ცაშეტი ჩვენი ამხანაგი და რამდენიმე დაჭრა. 1899 წელს ქ. რიგაში მაისში დემონსტრაციები მოხდა, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, და შემდეგ გაფიცვები დაიწყო. ამ დემონსტრაციების დროს პოლიციის ზედამხედველმა ესროლა ხალხის ბრძოს და ორი მუშა დაჭრა და შემდეგ, როცა მუშებმაც მოინდომეს წინააღმდევობა გაეწიათ, ჯარმა, რომელიც მათ წინააღმდევ გამოიყვანეს, იქვე გამოასალმა სიცოცხლეს ასიოდე მუშა და რამდენიმე დაჭრა. 1901 წელს რუსეთის ბევრ ქალაქებში, როგორც ხარკოვში, კიევში, მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა, თებერვლისა და მარტის განმავლობაში დემონსტრაციები მოხდა მთავრობის საწინააღმდეგოთ და ამ დემონსტრაციების დროს მუშებისა და სტუდენტების სისხლით შეღებეს დედამიწა. იმავე წელს პეტერბურგში გაფიცვა მოხდა იმპერატორის ზავოდში

და კიდევ რმავე ჯარმა რამდენიმე შეშა სრულიად გამოაცალა სიცოცხლეს და რამდენიმე დაჭრა. 1902 წელს ხარკოვის და პოლტავის გუბერნიებში გლე-ხებმა „აჯანყება“ მოახდინეს მემამულეთა წინააღ-მდეგ და შეშინებული მთავრობა როტას როტაზე გჩავნიდა, პოლუზე პოლკს უმატებდა აჯანყებულთ დასამშვიდებლათ, და „ქრისტეს მოყვარე მხედრო-ბამ“ მრავალი გლეხი გამოასალმა გაჭირებულ სი-ცოცხლეს, ხალდათების ტყვიაშ ბევრი მშრობელი აღამიანი დაიხსნა შიმშილით სრკვდილისაგან.

ამისთანა მაგალითები ბევრია რუსეთის ცატო-რიაში. რამდენ ფეხს გადადგამთ, იმდენ სალდათის ხიშტს წააწყდებით, რამდენ ძარცვა-გლეჯის წინა-აღმდევ ბრძოლას გოესწრებით, იმდენ სალდათების მიერ გაუაწვეულ სისხლის რიტევის მოწამე გახდე-ბით. ყოველივე ბრძოლა თავისუფლებისათვის სალ-დათების როტებით იჭყლიტება, ყოველივე განნდი ხალხისთვის მებრძოლთა სალდათების ტყვია ის-რისება. ჯარი — ეს ნამდგილი ჯალათია თავისუფ-ლებისა, თავისუფლების პირველი დამთურგვნელია, ჯარი ძარცვა-გლეჯის უპირველესი დარაჯია.

მართლაც და ვინ არ იცის, რომ მუშა გაჭირებულია, ის ნახევრათ მშიერ-მწყურვალეა და წარ-მოიდგინეთ ის შეებრძოლა თავის მტარვალთ, ის შეებრძოლა თავის ხაზეინს, რომელმაც მოინდომა ის ორიოდე გროშიც, რომელსაც აქამო?დე ძძლევა-და მუშას, უკანვე დაიბრუნოს სხვა და სხვა ჯარი. მებით, სხვა და სხვა საჯელით. მუშას სიმშილისა გან სიკვდილი მოელის და რომ ეს არ მოხდეს იძუ-ლებულია შეებრძოლოს თავის სისხლის მწოველ ხაზეინს და ის ებრძვის. ის არავის არაფერს არ უშავებს, მას არ დაურღვევია „საზოგადო წესი-რება“, მას არ უხმარია არავითარი წინააღმდეგობა.

მიუხედავათ ამისა მოდის ჯარი, რომელსაც უბრძანა ძლევა-მოსილმა მსავარობამ, მოდის ჯარი და უბრძანებს მუშებს დანებდენ თავის ხაზეინს, და მორჩილონ მის მოქმედებას; ის ყოველ ღონისძიებას ხმარობს აიძულოს მუშები, უკან წაილონ თავიანთი მოთხოვნილებები. თუ მუშებმა ვერ მოითმინეს ამნაირი უკანონობა, თუ მათ მოითხოვეს ამხანაგების განთავისუფლება, ან თუ კრება გამართა თავიანთი მდგომარეობის გამოსარკვევათ, მათ უბრძანებენ დაშალონ, და თუ ეს არ მოხერხდა, მუშებმა ეს არ ისურვეს, ან ეს შეუძლებელი დარჩა, ჯარი თოვს მიმართავს, სალდათს უბრძანებენ ესროლოს და ისიც ესვრის თავის ძმას, თავის ამხანაგს, იქვე ასალმებს სიკოცხლეს.

Ցո՞ն առ օյզու, Ռոթ ցլցեի պյուդուրց մջջոմաս հցոծա՛նու! Բարմուգոնց մաս առ այցե Ռոտ ցալու- թագուս Տաեցլմի՛ցո ցալասահալո, առ Շեշմլուս օժ- լուս մըմամյլց թուղլո նաեցարո Բլույրո մոսա- ցալուս. մտացրոծա Սրուլուսաձաւ առ օյզուց ամուս մի՞ցեցնեցն, մուսո մի՞նանո ասմուլուս ხալեի Ըացմար- հիլուս Կոչելնաոր ցանկարցուլցեցն, և ուս Սուբ- լուցն ըստեկուցոս օպյենցն, Տալճատցնուս Հոռուցնուտ օվսցն Սուբլուցն. Տալճատոս, Հոմելոմաւ առուցրուա Կրյմա- Երանցուս ցամո Ըակէյարցա Կոչելնաորո օդամունց- րո լուրսցն, Բիրաճաւ առ լիիանս մուսո միուս Վա- գա- Ըաց- վա; Ուս մի՞ւտ առուս մտացրոծուս Ցրծանցնուսամցն Կո- չելո ցլցեի, Ըուլու և Ցարու, Քալու և Կապու տացուսու տուղուս Խոմի՞նց օացուս, Եպցուու ցալցմուրուս ցլուն. Ուս մի՞ւտ առուս և Կոչելո օմաս Ասրուլցն, Սուբլուուն Լուբլուցն ցաւսմուս Տալճատցնուս տուղուս Տրուռու, Ըակէրուու ցլուն Շեմի՞արացու ցմոնցա, նաւց- Սաց- Բիմուցլու Բուզուլ- Կոչուլու.

სტუდენტებმა ვერ მოითმინეს მუდმივი გაქელვა ადამიანური ლიტერატურისა, ისინი შეიკრიბენ, რომ წინააღმდეგობა განაცხადონ, ან ქუჩებში დემონ-სტრატია მოახდინეს, მაშინვე ჩნდება ძლევა-მოსილი ჯარი და იგივე დაჭრილ-მოკლულები, იგივე ცხენებით დაჯეკნა, იგივე გასისხლიანებული პირი-სახე და სხვა.

ფინლანდიელებს წაართვა მთავრობამ ყოველ-ნაირი თავისუფლება. წეს-რიგის, კენონიერების მა-გიერ თავისი ძლევა-მოსილი დენერლები ჩიაყენა, რომელთაც არ გააჩნიათ არც კანონი და არც სა-მართალი. ფინლანდიელები წინააღმდეგობას უცხა-დებენ, ისინი საჯაროთ კიცხავენ რუსეთის თვით-მშერობელ ჯალათს ნიკოლოზ მეორეს, და ჩნდება იგივე ჯარი, რომელიც სისხლის ტბას აყენებს, თო-ფის კონდახებით „აშვიდებს“, მათრახებით თავს უპობს, ცხენებით ჯეკნის უიარალო ბრბოს.

ა ბი რა არის ჯარის დანიშნულება, აი რას ემსა-ხურება სალდათი, და შართლაც საკმაოა მოვიგო-ნოთ ყოველი გაფიცვა მუშებისა და გლეხებისა მწარმოებელთა და მემამულეთა წინააღმდეგ, ყოვე-ლი ბრძოლა მთავრობის ძარცვა გლეჯის წინააღმ-დეგ, როცა ის, რუსეთის თვითმშერობელი მთავრო-ბა მზათაა ყოველი გაფიცული შუშა, ყოველი გა-ფიცული გლეხი, ყოველი მებრძოლი სალდათების ტყვიის მსხვერპლი გახადოს. საკმაოა მოვიგონოთ 1825 წ., როცა აჯანყებულ დეკაბრისტების *) წინა-

*) 1812 წელს საფრანგეთის იმპერატორი ნაპო-ლეონი ეომებოდა რუსეთს, ნაპოლეონმა პირველაო გაიძარჯვა და აიღო რუსეთის მაშინდელი სატახტო ქალაქი მოსკოვი. მარა მას მოასწრო იქ რუსეთის ცივმა ზამთარმა. სიცივეს მიუჩვეველი ჯარი გაჭი-

აღმდეგ, — რომელთაც სურდათ მოესპოთ თვითმშეცვრობელობა და ხალხისთვის თავისუფლება მიენიჭებიათ, — მოვიგონოთ, რომ დეკაბრისტების წინააღმდეგ მთავრობამ მთელი პოლკები გამოიყვანა, და ამნაირათ ერთი პოლკი მეორეს ესროდა, ჯარი ერთი მეორეს ულეტდა (ჩვენ ვიცით, რომ დეკაბრისტების დიდი უმრავლესობა ჯარის კაცებისაგან შესდგებოდა), მოვიგონოთ ეს და ათასი სხვა ამისთანა შემთხვევები და ცხადი იქნება, რას წარმოადგინს ჯარი, ვის ინტერესებს იცავს ის!

რებაში ჩავარდა, თანაც მცხოვრებლები არ აძლვედენ მოსვენებას და ესხმოდენ თავს. ნაპოლეონი იძულებული იყო ზამთარშივე დაეტოვებია მოსკოვი და დაბრუნებულიყო საფრანგეთში. მას უკან გამოუდგა რუსეთის იმპერატორი თავისი ჯარით, რომელსაც სიცივე ვერაფერს აკლებდა, რადგანაც შეჩვეული იყო, ნაპოლეონის ჯარი კი უმოწყალოთ იულიტებოდა სიცივისაგან და რაც სიცივშა ვერ დაკლო ის რუსეთის ჯარმა შეუსრულდა. ამნაირათ დამარცხებული ნაპოლეონი შევიდა საფრანგეთში და შეჰყვა რუსეთის მხედრობაც. იქ ნაპოლეონს შინაური არეულობა დახვდა: ხალხი აჯანყებული იყო მისი, ნაპოლეონის თვითმშეცვრობელობის წინააღმდეგ, ის ჩამოაგდეს მაშინ ტახტიდან და საფრანგეთში რესპუბლიკანური მმართველობა აღადგინეს.

ამნაირათ რუსეთის მხედრობა (იგულისხმე აფიცრები) გაეცვნენ რესპუბლიკანური მმართველობის წესებს და მოეწონათ ძრიელ. როდესაც დაბრუნდნენ სამშობლოში, მათ მოინდომეს აქაც რესპუბლიკის დაარსება. 1825 წ. დეკემბერში მოახდინეს იჯანყება, მაგრამ დამარცხებულ იქმნენ მეფის მომხრე ჯარისაგან. იმათ უწოდებუნ დეკაბრისტებს.

შენიშვნა ასოთამწყობისა

1Y

ჯარის დანიშნულება, როგორც უკვე ვთქვით
რუსეთის თვითმყრობელი მთავრობის და ბურუუა-
ზიის დაცვაა, ჩვენ, მუშათა კლასის წინააღმდეგ;
მისი მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენ მუდმივ დაჩაგრძას
გაბატონებულ კლასთაგან. ახლა ვიკითხოთ **306**
ინახავს ჯარს, 306 ასაზრდოებს მას? ჩვენ
ვთქვით, რომ გადასახადი ჩვენი ჯიბიდგან ამოდის,
მთელი სახელმწიფო გადასახადი ჩვენ გვაწევს კი-
სერზე, რადვანაც მთავრობამ სხვა და სხვა არა პირ-
დაპირი გადასახადების საშვალებით ძრიელ კარგათ
მთახერხა შეძლებული ნაწილი საზოგადოებისა—
ბურუუაზია,—თითქმის სრულიად გაეთავისუფლებია
გადასახადებისაგან.

და ამ გადასახადის კარგათ მოზღვილი ნაწილი, თითქმის ოთხასი მილიონი მანეთი ჯარზე იხარჯება; ჩვენი ნაოფლარით რუსეთის მთავრობა ჯარს ინახავს, რომ სალდათების ტყვია დაგვიშინოს, სალდათების როტებით დაგვიმონოს, როცა შევებრძოლებით მას, ან გაუმაძლარ ბურჟუაზიას, — საჭიროების დროს წელში გაგვტეხოს, რომ ხელიდან არ გაუსხლოს გამდიდრების წყარო, რომ ჩვენ თავისუფლება არ მოვიპოვოთ. ამნაირათ ჩვენვე ვინახავთ ჯარს ჩვენდა საწინააღმოეგოთ; ჩვენი ოფლით ნაშოვნი ფული ჩვენდა საწინააღმდეგოთვე იხარჯება, ჩვენი გროშები ხელს უწყობს ჩვენ დამონებას.

თუ ჩვენი ფული ასაზრდოებს ჯარს, ვინ აძლევს
საჭირო კაცებს, ვისგან შესდგება ჯარი? შეიძლება
რუსეთის მთავრობისაგან? არა. შეიძლება ბურჟუა-
ზისაგან? არა და არა. აბა დავაკვირდეთ ცხოვრე-
ბას, გავითქალისწინოთ ჩვენი კანონები ამ მხრით!

ჩვენი კანონმდებლობის თანახმათ საპეგრო ვალუ

დებულობისაგან – სალდათობისაგან თავისუფალია უპირველესათ სამღვდელოება და ზოგიერთი ჩინოვ-ნიკობა. გარდა ამისა ყველა მას, ვისაც განათლება მიუღია — შეღავათი ეძლევა, ასე რომ, ხშირათ ერთს წელს მსახურებს ოთხი წლის მაგიერ, რომელიც ყოველმა უსწავლელმა უნდა იმსახუროს. მარა სწავლა განათლების მიღება ყველას ხომ არ შეუძლია, ამის-თვის ფულია საჭირო, რომელიც ჩვენ არ გვაქვს, რომელიც ბურჯუაზის კუთვნილებას შეადგენს. ამ-ნაირათ ბურჯუას ყოველთვის შეუძლია სწავლა-გა-ნათლების საშვალებით საბევრო ვალდებულება არა-რათ მიიჩნიოს, ოთხი წლის მაგიერ მხოლოდ, ერთი იმსახუროს. ამასთან იმას იმ ერთი წლის განმავლო-ბაშიაც ათასნაირი შეღავათი ეძლევა, ის თავისუფა-ლია ყოველივე ძნელი სამუშაოსაგან, ის მარტო კანცელიარიებში ხელის მოწერით ასრულებს სამსა-ხურს. როცა ჩვენ, მშრომელი ხალხის წარმომად-გენერანი, ოთხი წლის განმავლობაში თოვის თრე-ვით, დარაჯობით, აფიცერთა და ფელდფებელთაგან ყოველ წამში ლანძლვა-გინების მოსმენით, ცხვირ-პირში მუ შტემის ცემით სულს ვლათვავთ ყაზარმებში. თან ბურჯუაზიას ფულის წყალობით შეუძლია სრუ-ლიათაც გადიძროს თავიდგან ეს მძიმე უდელი. ამისთანა მაგალითები ხომ საძებნელიც არაა, ჩინოვ-ნიკობის არსებობა ამის დასამტკიცებელ საბუთს ხომ ყოველთვის გვაძლევს, იმ ჩინოვნიკობის, რო-მელთა მექტამება საზღაპრო გახდა, რომელიც ხატებსაც კი აცლის ძირფას თვალებს, რომელიც რკინის გზის რელსებს იპარავს და სხვა.

ამიაირათ სამხედრო ბეგარა, სალდათობა ბურუუ-
აზიას პრარატ უჩანს, ის ან სრულიათ თავისუფალია,
ან, უკიდურეს შემთხვევაში, ათასნაირ შეღავათ-
ებით არის დაცული, ასე რომ, მთელი სიგრძე

საგანიო რუსეთის თვითმშეკრობელმა მთავრობამ ეს კუველაზე უფრო მძიმე — „სისხლით“ გადასახადიც მუშათა კლასს დააღდა კისერზე.

რუსეთის თვითმშეყრობელი ხელმწიფე და ბურუუ-
აზია არა თუ მდიდრდებიან ჩვენი მარჯვენით, ჩვენი
ნაოფლარის მისაკუთრებით, მათ გვაიძულეს ჩვენი
სისხლით დავიცვათ მათ მიერ ჩვენი ძარცვა-გლეჯა,
მათი ბატონობა, პარა ჩვენ, რომ ეს არ შევიტყოთ,
სალდათმა რომ ვერ მიხვდეს, თუ ვის ემსახურება ის,
ამიტომაც ყვირიან „სამშობლოზე“, ამიტომაც ჩაგვ-
ძახიან „სამშობლოს დაკვას“. და მართლაც სალ-
დათი ოცავს ბურუუაზიის „სამშობლოს“, ოცავს მის
ქონებას, მის სისხლით შეღებილ ქონებას მშრომე-
ლი ხალხის — მისივე მომეთა და თავისთავის წინ-
აღმდეგ. ეს უნდა ბურუუაზიას, ეს არის მთავრობის
მიზანი. გახრწნილი და გარყვნილი ის მუდამ შიშ-
შია, ვაი თუ დღეს, ან ხვალ მშრომელმა ხალხმა
პასუხი მომოხვოს ჩემს ძარცვა გლეჯა შიო და
ამიტომ ამრავლებს ის გულმოდგინეთ ჯარს, ამ
ერთათ ერთ საშვალებას ბატონიაბის შესარჩენათ.

Ամուսնութեան առաջական այստեղաբանը:
Ամուսնութեան ելցին, հոգ գամութեան ոչքան մու-
շան, ցլցեն, սթորցտ օմ դրու, հուցա ու յև առու
Մեծու պետքանցին, պահան ոցինու պետքանցին սոմ-
թառ-սությանցին, պահան ոչքանցին մուցութու; ցան-
ապլուն մանան, հուցա ու չեր կութց առ դայունց-
ին տացու մըցութեանցին, հուցա մուսու մությունցին
մուցու օդցութու; ցանապլուն օմ դրու զա օրույ-
յցին մաս պահանցու ուցենու ցալադցմանց: յուծնցին,
հում ու ուրաց սամանանցու, հոգ ու յմսանցունցին
մուցու սամացանութեանց, զա ու, ցումնութեանցու մուշա,
ցումնութեանցու ցլցեն պահանցու ամաս ոչքանցին, պահանց-
ին պահանցու ուրաց ուրացին. մարա սանամ մուսությու-
նունցին պահանցու պահանցու մուսությունունցին.

ულ აღვილებში. რას აღწევს ამით მთავრობა? რა მიზნით ხდება ის, რომ ქართველ სალდათს რუსეთში აგზავნიან, რუსს ჩვენკვენ, ან ციმბირისკვენ, პოლონელს ჩრდილოეთ რუსეთში და სხვა. სწორეთ ამის ახესნა გამოარყვევს ყველა იმას, რასაც ასე მაგრათ ინახავს გულში მთავრობა.

თეოთმშეყრობელმა მთავრობამ ძრიელ კარგათ იცის, რომ თუ ქართველი მუშა, რომელსაც სალდათის ტანისამოსი ჩააცვეს, ჩვენშივე, საქართველოში დარჩა, — ძნელათ რომ ესროლოს თოფი თავის გუშინ-დელ ამხანაგს, ქართველ მუშას. რუსეთის მთავრობამ ძრიელ კარგათ იცის, რომ პოლონელი მუშა-სალდათი არასოდეს არ ესვრის თოფს თავის გუშინ-დელ ამხანაგს, რომელთანაც გაზრდილა, რომელთანაც გამოუცდია მთელი სიმწარე ცხოვრიბისა, გამოუცდია მთავრობისა და ბურეუაზისაგან ძარ-ცვა-გლეჯა. მთავრობამ იცის, რომ რუსი მუშა-სალ-დათი ძნელათ თუ ოდესმე გაიმეტებს თავის ამხანაგს სასიკვდილოთ; მთავრობამ იცის, რომ ძრიელ ძნელია იაროსლაველი გლეხი აიძულო იაროსლაველ გლეხ-სავე ესროლოს თოფი. მთავრობამ იცის ყველა ეს და ამიტომაც არის რომ ის მიერეკება სხვა და სხვა აღგილებში: ქართველს რუსეთში აგზავნიან, რუსს ჩვენში, ან შორეულ ციმბირში, პოლონელს რუ-სეთში და სხვა. აგრეთვე მთავრობა არაოდეს ერთ რომელიმე პოლკში ერთი და იმავე მხრის რამდენი-მე სალდათს არ აგზავნის; მაგალითად, არასოდეს ერთად რამდენიმე ქართველს, ან პოლონელს არ გაგზავნის. როცა ასე იქცევა მთავრობა, მან ძრიელ კარგათ იცის, რას აღწევს ამით: ერთი ერთის სალ-დათებს უფრო აღვილათ შეუძლიათ მოილაპარაკონ ერთმანეთში, თავისი აზრები ერთიმეორეს გააცნონ, ასე რომ სრულიათ საკმაოა ერთი შეგნებული სალ-

დათი, რომ თავის ეროვნების ყველა სალდათების შეაგნებინოს თავიანთი მდგომარეობა. იმ სწორები ამის წინააღმდეგია რუსეთის მთავრობა, მას სურს სრულიათ მოხპოს შეგნება, ძირიანათ აღმოფხვრას ყველა ის, რაც ხელს უწყობს ხალხებს შეგნებას, ხალხის გაცნობიერებას, მით უმეტეს სალდათებისას.

როცა ისინი დააბნიეს, როცა სალდათი შორეულ ადგილებში გაგზავნეს, სახლ-კარს მოაშორეს, ახლა ის სრული მონაა თავის მტარევალ ბატონებისა: მას არავითარი უფლება აღარ აქვს. თუ აფიცერი ცემს ცხვირ-პირში, მას არ აქვს უფლება თავი დაიცვას, მიზეზი მოკითხოს, ან თხოვოს თავის დანებება, თხოვოს შეაჩეროს ტანჯვა-წვალება. სალდათმა რომ მოინდომოს შეაჩეროს გამხეცებული აფიცერი, მან ხელი წაკრას, მაშინვე გამასწორებელი რაზმში, ან კატორდაში უკრავენ თავს; თუ მან სიტყვა შეუბრუნა, როგორც დაარტყამენ, სატუსალოში ჩააგდებენ. თუ მან მოინდომა უფროსს მიმართოს საჩიერით რომელიმე ბოროტოჭოქმედების წინააღმდეგ, მასვე ცემენ როგორც მასვე აგდებენ ციხეში, ცხვირ-პირს უსისხლიანებენ და კიდევაც ხვრეტენ.

როცა მას ხელში ჩაიგდებენ, დაამწყვდევენ ყაზარ. მაში, საცა მარტო გარუვნილი სიტყვები ესმის, საცა მხოლოთ პიროვნების დამცირებას ხედავს: აქ ერთი უნტერ-აფიცერი ცხვირში სცემს საბრალო სალდათს, რომელმაც ვერ შეძლო მისი უკანონო ბრძანება შეესრულებია; იქ როგორც ცემენ ერთ საბრალო პირს, რომლის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ის პატიოსანი პირია, ის კარგათ გრძნობს თუ რა მხეცებში ჩავარდა, და როცა უკანონოთ უბრძანებენ, მზათაა დაიცვას თავისი შეურაცხუფილი პიროვნება; იქ პოლკის უფროსი მობრძანებული და უხსნის ხალ სალდათებს, რომ ისინი

ვალდებულნი არიან უფროსის ყოველნაირი ბრძანება სასტიკათ შეასრულონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი სასჯელი მოელით; იქ საპყრობილები მიათრევენ ერთ სალდათს, რომელმაც გაბედა სალამოს ცხრა საათის შემდეგ წიგნის კითხვა, რადგანაც ეს აღკრძალულია ყაზარმაში; იქ ფელდფებელი უხსნის, რომ სალდათი იცავს „სამშობლოს“, რომ ის ემსახურება დიდებულ ხელმწიფეს, რომელიც ყველასათვის ზრუნავს, და ამიტომ სალდათი ყოველთვის მზათ უნდა იყოს, რომ დაიცვას „ხელმწიფე იმპერატორი“ და სხვა. საითკენაც ფეხს გადადგამთ, მუდამ როზგი, მუდამ სატუსალო, მუდამ ცხვირ-პირში ცემა, და ეს შანამდი, სანამ დაკარგავდე ყოველნაირ შეგნებას, სანამ ისე გამოტვინდებოდე, რომ მზათ გახდე დაივიწყო ყოველ ნაირი პატიოსნება, თოფი ესროლო შენ გუშინდელ ძმას, სანამ ისე გამოტვინდებოდე, რომ თანახმა გახდე ემსახურო შენს მტერს. როცა ამას მიაღწიეს, როცა სალდათი მონათ აქციეს, როცა მან დაკარგა ყოველნაირი შეგნება, მაშინ შეუძლიათ ისე მოქცენ, როგორც სურთ. მას უბრძანებენ ესროლოს ძმას და ის ასრულებს ამას, უბრძანებენ ხიშტზე ააგოს თავის გუშინდელი ამხანაგი და ის მზათაა ამის შესასრულებლათ, მას უბრძანებენ სიცოცხლეს გამოასალმოს თავის დედამამა, ⁹) რომელიც იძულება

*) თუმცა არ მომხდარა, რომ სალდათს თავისივე კვიდრი მშობლები ან ქმა მოეკლას, მაგრამ განასულ ერთი არ არის თუ მოსკოველი გლეხის შეილი-სალდათი ქუთაისელი გლეხს ესვრის თოფს და ქუთაისელი გლეხის შეილი-სალდათი კი მოსკოველ გლეხს გამოასალმებს წუთისოფელს?

შენიშვნა ასოთამწყობისა.

ბული იყო გაფიცულიყო მემამულეთა წინააღმდეგ, იძულებული იყო უარი ეთქვა სახელმწიფო გადა-
სახადის მიცემაზე, რადგანაც გროში არ ეგდო ჯა-
ბეში, მას უბრძანებენ და ის იძულებულია ყველა
ეს შეასრულოს. თუ სალდათი ურიაა, ან კათოლი-
კე, მას უბრძანებენ დაგმოს თავისი სარწმუნოება,
იგი იძულებულია მღვდლების, მართ-მადიდებელთა
წირვა-ლოცვა მოისმინოს...

ამნაირათ რუსეთის თვითმყრობელმა მთავრობამ
ქმა ქმის წინააღმდეგ გამოიყვანა, შვილი დედ-მამის
წინააღმდეგ, მტერს ამარცხებს მტრსავე მეოხებით,
პატონობს მონების საშვალებით, ხალხს იმონებს
ხალხისავე საშვალებით.

აი რა არის სალდათობა, აი რას ნიშნავს ჯარი!

და რომ შშრომელი ხალხი, მუშათა კლასი დაი-
მონაოს, მთავრობა არაფერს არ ზოგავს, ყოველ
ლონისძიებას ხმარომს; ამიტომაცაა რომ დღითი
დღე უმატებს ჯარს, ამიტომაცაა, საცა წინეთ ორ-
მოცი კაცი მიყავდა ჯარში ერთი საზოგადოებისა-
გან, ახლა ასოცის არ ჯერდებიან, ესეც ეცოტა-
ვებათ. ამიტომ არის მთელი საქმის წარმოება სამ-
ხედრო-საბეგრო დაწესებულებაში სასაცილო გამხ-
დარა. ოქვენგან მოითხოვენ კენჭი ამოილოთ; ფიქ-
რობთ კენჭს მნიშვნელობა აქვს,—თუ დადი კენჭი
შემხვდა სალდათობასაც მოვრჩიო, მარა მოტყუც-
დით. ეს მხოლოთ თვალის ახვევა ყოფილა. არა
თუ კენჭი, მესამე ხარისხის შეღავათიც, — რომელიც
ეძლევა მას, ვისაც ძმა სალდათი ყავს, — არაფერი
ყოფილა; ის კი არა მეორე ხარისხის შეღავათი,
რომელიც ეძლევა იშ პირს, ვისაც მოხუცებული
დედ-მამა ყავს და ძმა მცირეწლოვანი, — წარმოიდ-
გინეთ ესეც არაფერი ყოფილა. რუსეთის თვითმცუ-
რობელ მთავრობას შეძლებია რამდენიმე ძმა ერთს

და იმავე დროს აქციოს სალდათად, რამდენიმე ძმის
ერთათ ჩააცვას სალდათის მუნდირი; მას შეძლებია
ერთათ ერთი მუშა წაართვას ოჯახს, ის კი არა მას
შეძლებია ერთათ ერთი შვილი წაართვას მოხუც
დედ-მამას, იმ შემთხვევაში თუ დედ-მამა კამერა-
ლურ აღწერილობაში პიძასთან, ძმისწულთან და
სხვა წათესავთან ერთად არის მოქცეული, თუნდაც
ესენი ახლა ცალ-ცალკე ცხოვრობდენ, მხოლოდ
თავისთვინ ზრუნავდენ, ცალკე ეწეოდენ ცხოვრე-
ბის ჭაპანს.

რომ მუშათა კლასი დაიმონის მთავრობა არა-
უერს ერიდება, ის მზათ არის ჭმოხუცი დედ-მამა
შიმშილის მსხვერპლი გახადოს, ის აღარ აქცევს ყუ-
რადლებას არც დედ-მამის წივილ-კივილს, არც ბედ-
კრული სალდათის წვა-დაგვას. მას უნდა მხოლოთ
სალდათი; მაშ გაიხადე უკანასკნელი ტანისა-
მოსი რუსეთის მეფის ქვეშევრდომო, პირიდგან გა-
მუიგლიჯე უკანასკნელი ლუკმა, გამოეთხოვე შენს
ძვირფას შვილს, რომელიც სჭირია „მოწყალე ხელ-
მწიფე“ იმიტომ, რომ როცა შენ მოინდომებ ცხო-
ვრების გაუმჯობესებას, როცა შენ შეებრძოლები
მას, სისხლის მწოველ მთავრობას და გაუმაძლარ ბურ-
უაზიას, ამ შემთხვევაში „მოწყალე ხალმწიფე“
უბრძანებს შენ შვილს, რომელსაც სალდათის მუნ-
დირი ჩააცვა, გვეროლოს და ის გვევრის, ის თო-
ფის ხიუტზე აგაგებს, გამოგასალმებს ბედკრულ სი-
ცოცხლეს, რომელიც ამდენი სიმწარით არის მოკუ-
ლი მეფისავე მეოხებით!

Իռամ Շեղորհինուս տացուսո ծագոնքա, հյուսեցուս
տցուոմքը բարձրացլո մտաշրջա սուսուլցն պազցալուց
սալդատս დաշვունցուս, Իռամ ու շահութին մշշա, ան
ցլցեն ուսու; Ու կու առա, Իռամ ու եցալու մշշա, ցլց-
են օվենքնա. Սալդատո, Իռամ մուշորդցն պահանջաւ

ხომ იგივე მუშა, გლეხი იქნება. ის გამოალაყეს, მან დაკარგა ყოველნაირი ადამიანური ლიტსება, მას არა-ფერი არ შეუძლია, გარდა კაცის სიკვდილისა, გარდა ი.ავის ამხანაგის მოკვლისა. და ამნაირი კაცი, რასაკვირველია, არაფრისთვის მომზადებული არაა, მან ვერაფერი ვერ შეიძინა, ის კი ორა დაავიწყდა კიდეც პატაოსნური შრომა, მას მუშაობაც ეძნე-ლება, დიდი ვაი-ვაგლახით შეუძლია მოიგონოს ის პატიოსნური შრომა, რომელსაც ოთხი წლის წინეთ ეწეოდა. ამ ნაირათ, როცა გაჭირებით ხელიხლია გლეხი, მუშა ხდება, და როცა თავის ამხანაგებთან ერთად მოინდომებს ცხოვრების გაუმჯობესებას, როცა გუშინდელი სალდათი შეებრძოლება იმ მთავრობას, რომელსაც გუშინ იცავდა თავის ამხანაგების წინააღმდეგ, იგივე მთავრობა და ბურუუაზია გამოიყანს მის წინააღმდეგ ჯარს, დღევანდელ სალდათს უბრძანებს და ისიც იძულებული იქნება მოკლას, სიცოცხლეს გამოასალმოს; სანამ ის სალდათი იყო სხვას ხოცავდა, ის თავის ამხანაგების ულეტით იცავდა რუსეთის მეფის წითლათ შედებილ ტახტს. როცა ის მუშა, გლეხი ხდება, როცა ის უბრუნდება თავის წინანდელ მდგომარეობას, მის წინააღმდეგ ახალ სალდათს გამოიყვანებენ, მას ახალი სალდათის ხიშტებზე ააგებენ და ასე ბოლომდის: მუშათა კლასი ერთი მეორის უჟეტს, ერთი მეორეს ხოცვით იცავენ თანამედროვე ბატონობას.

ამნაირათ მთავრობა პატონობს არა თავის ძრიე-ლებით, — ის თავის თავათ არა თუ ძრიელია, ის უძლურთა უძლურია; ის ძრიელია ჩვენი უმეცრე-ბით და ძლიერი იქნება მანამ, სანამ ჩვენი ძმა, ჩვე-ნი ამხანაგი, სალდათის მუნდირში, ჩვენ გვულეტს, ჩვენი სისხლით ტბას აყენებს.

სანამ ეს ასეა, სანამ მუშათა კლასი ერთი მეო-

რეს ქლეტს, სანამ მთავრობას შეძლება აქვს შეაია-
 რალოს ხალხის ერთი ნაწილი მეორეს წინააღმდეგ,
 სანამ მას შეუძლია ძმა ძმასვე მოაკვლევინოს, ამხა-
 ნაგი ამხანაგს,—მანამ შეუძლებელია თავისუფლება-
 ზე ფიქრი, წარმოუდგენელია მუშათა კლასის გან-
 თავისუფლება.

V.

ახლა ვიკითხოთ რა საშვალება არსებობს ამის
 წინააღმდეგ, როგორ შეიძლება, რომ ჯარმა,—ამ
 ერთათ ერთმა სიმაგრემ რუსეთის თვითმპირობელი
 მთავრობისა და ბურუუაზისა, სიმაგრემ ხალხის წი-
 ნააღმდეგ მიმართულმა, დაკარგოს თავისი დღევან-
 დელი მნიშვნელობა, უვნებელი შეიქმნეს ხალხისა-
 თვის. ერთათ ერთი საშვალება — ეს თვით სალდათე-
 ბის შეგნებაა; როგორი მომზადებულიც უნდა იყოს
 მუშათა კლასი, სანამ სალდათი მონაა თავის უფრო-
 სებისა, სანამ ის დარაჯია თვითმპირობელობისა,
 მანამ შეუძლებელია, როგორც უკვე ვთქვით მუშა-
 თა კლასის განთავისუფლება, შეუძლებელია საერ-
 თო ბედნიერების ქვეყნათ დამყარება. მაშასადამე
 ყოველივე ძალ ღონე უნდა იყოს მიმართული იქით-
 კენვე, რომ თვით სალდათმა შეიგნოს ეს, შეიგნოს
 რომ ჩას მთავრობა ამ სამსახურით აიძულებს ძმის
 მკვლელი გახდეს, რომ ის ამ სამსახურით ხელს
 უწყობს მთელი ხალხის დამონებას.

როცა მან შეიგნო თვისი მდგომარეობა, მას ყო-
 ველთვის შეუძლია, საჭიროების დროს თვითონ
 აწონ-დაწონოს, თუ როგორ მოიქცეს, მაშინ ის არ
 დაიშურებს წაბაძოს ქ. ტულის სალდათებს, რო-
 მელთაც წელს უარი განაცხადეს თოფი ესროლათ
 მუშებისათვის და ამის მაგიერ თვით უნტერ აფიცე-
 რი აგდეს ხიუტზე, როცა მან მოინდომა ძალა დაე-

ტანებია. როცა შეიგნებს 10 – 20. მაშინ სულ აღვილად შეუძლია შეიგნოს 100 და 1000 მა, მაშინ იმათსა და ოცსა თავისუფლად შეუძლია გაიყოლოს თავისკენ დანარჩენი ამხანაგები.

ამით ჩვენ სრულიადაც არ გვსურს იშის თქმა, ვრთოჩუ კარგი იყოს კერძო, ცალკე პირის წინააღმდეგობა. როცა, მაგ., რომელიმე სალდათი უარს აციალებს ფიცზე, როცა ის გაურბის სალდათობას, არავის შეუძლია თქვას ეს უზნეო საჭიროებია პირიქით შეიძლება ის ძლიერ კარგუც იყოს, მარა ამას თითქმის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია; ერთი ორის გაქცევა, ერთი-ორის წოშორება ვერაფერს უშველის, დანარჩენი კი ისევ იმავე მდგომარეობაში დარჩება დანარჩენი მთავრობის ბრძანებისამებრ ამოჟლეტს ხალხს, დახოცავს მუშათა კლასს. ის კი არაა საჭირო ერთი და ორი გაიქცეს, ერთმა და ორმა განაცხადოს უარი, საჭიროა აველამ შეიგნოს თავისი მდგომარეობა, საჭიროა სამრთო შეგნება. სანაც ეს არ მოხდება ერთი და ორის წინააღმდეგობა სრულიად უსარგებლო მსხვერპლი იქნება.

მაშ შეგნება და კიდევ შეგნება – ი რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

და ამ მიზანს შეუძლია ემსახუროს მამამ, ძმამ, ნათესავმა, არა ნათესავმა, ყველა პატიოსანმა კაცმა. და თუ ახლა იმ ნაირია წინააღმდეგობა ჯარსა და მუშათა კლას შორის, რომ პირველი ყოველივე უხეხის გადადგმაზე სიცოცხლეს ოსალმებს მეორეს, მუშათა კლასს, რომელმაც მოისურვა მოსპოს ბატონიბა, და ეს წინააღმდეგობა არსებობს მიუხედავათ იმისა რომ ჯარი იგივე მუშათა კლასი ის შეილია და ხვალვე ისევ დაუბრუნდება თავის მდგომარეობას, ხვალ ისევ მუშა, ან გლეხი იქნება, თუ

అశ్లో అథ నాయిరిది వీసెనాంలమద్యేగుండా, రిట్చ్రూ జార్ని శ్యోగ్నేథ్స్ తావ్యిస్ మధ్యామార్క్యోంబాస్, త్ర్యుజ్యోస్, రూమ్యెల్లిప్
అంబామమద్యే క్వ్యేబ్ సాష్టినాంలమద్యేగుంత ఐప్ప మంమార్క్యుల్లి,
బాత్రోన్ గ్భ్యేబ్ డాఖ్యుమ్మెన్స్, మాశ్మిబ్ క్వ్యేబ్తాబ్ గ్ర్యూతాత శ్యేబ్ర్హ్ముల్లి,
బ్యూర్క్యుల్లోబ్ ల్యుస్యెటిస్ త్యుప్పితమ్ముర్కుంబ్యేల్ మంచ్యుర్కుంబాస్ డా
బ్యూర్క్యుల్లుంబ్యుంబాస్ డా మాశ్మిబ్ మాతా బాత్రోన్కుంబిస్ డాల్యెన్సిప్
డాత్వ్యుల్లిల్లి ఐబ్బ్యుబ్బా. తా అశ్లో క్వ్యేబ్ శ్యూర్క్యుంబ్యే క్విందిస్
ప్యుఎల్లా—మ్యేట్యే తావ్యిస్ కింబ్యున్సిక్యుబ్బిత, బ్యూర్క్యుల్లుంబాస్,
మ్ల్వ్యుల్లుంబ్యేబ్బి—తా క్వ్యేబ్ మంబ్యుంబాస్ క్వ్యేబ్బి ద్మ్యేబ్బి-సాల్లుడా-
ట్యేబ్బి అమాగ్ర్యుబ్బ్యేబ్బి, మాశ్మిబ్ గ్ర్యూసాడ డావ్యుప్ర్యేమిత క్వ్యేబ్ సాయ్యుర్కు
మ్యుఏర్స్ డా డ్యెల్యుర్క్యుల్-క్యాప్రోబ్రొంబాస్ వ్యామిచ్చ్యున్స్యేబ్బి మిస్
గాన్తావ్యిస్స్యుఫ్లుల్లోబ్ భ్యుఫ్లమివ్ దార్క్యువా గ్ల్యెజిసాగాన్.

క్రి - క్రి

157

n 142/513

20

F 18.892
2

ଓঁ শুভ রেখা পত্র